ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

1977 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ № 220 (16960) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ 1977

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲚ ᲙᲞ ᲠᲣᲡᲗᲘᲡ, ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ORGAN CK KP GRUZII, VERKHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

ᲣᲗᲮᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲖᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲜᲐ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲒᲕᲪᲮᲔᲑᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲙᲘᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲘᲯᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲙᲘᲕᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲠᲣᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲣᲡᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲔᲓᲘ — ᲨᲔᲣᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲚᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲡ ᲛᲑᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲓᲘᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲚᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲡ ᲛᲑᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲗᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ

საბჭოთა საქართველო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავზე

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

საქართველოს მეზობელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ახალი სახელოვანი პატრიოტული მიღწევებით ეგებებიან შესანიშნავ იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობის პირობებში განიხილავენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. საბჭოთა საქართველოს მიერ სოციალისტური მეურნეობის წლებში მოგროვებული მიღწევები, რესპუბლიკის წარმებანი სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში დამაჯერებლად მოწმობენ, რომ სოციალიზმია უზრუნველყოფ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის პროგრესის უმაგალითო ტემპი, კიდევ ერთხელ აღანტურებს კომუნისტური პარტიის ლენინური კურსის სისწორეს, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნამდვილ ტრიუმფს.

დღეს საქინფორმი აქვეყნებს მასალებს, რომლებიც აშუქებენ საბჭოთა საქართველოს, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგიერთ შედეგს. ციფრების უმრავლესობა აღებულია ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საიუბილეო სტატისტიკური წელიწდეულიდან „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის“, რომელიც უახლოეს ხანებში გამოვა; მოყვანილია აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სხვა მონაცემები.

ციფრები და ფაქტები

ჩვენ ხუთი მილიონი ვართ

საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორია 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. საქართველოს სსრ მოსახლეობა ჯანუხრლად იზრდება. თუ 1921 წელს, რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელს, იგი 2,4 მილიონს შეადგენდა, 1970 წელს კი 4,7 მილიონს, 1977 წლის 8 იანვრისათვის ამ ციფრამა უკვე 5 მილიონს მიაღწია. ახლა რესპუბლიკის მოსახლეობის 53 პროცენტს ქალები შეადგენენ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — 87 პროცენტზე მეტი ოქტობრის რევოლუციის შემდეგ დაიბადა. 1977 წლის დამდეგისათვის ქალაქ თბილისის მოსახლეობა 1.042 ათასს შეადგენდა.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნებისათვის, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკისათვის. ეს იმის შედეგია, რომ ჯანუხრელად უზრუნველდება შრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, სამართლიანად გადაწყდა ეროვნული საკითხი, სოციალისტური სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. ახლა საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეტია, ვიდრე საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში, და 72 წელს აღწევს.

ჩვენი რესპუბლიკის აგრარულიდან ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაქცევამ გამოხატულება პოვა მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის გადიდებაში. მათი საშუალო წლიური რიცხვი საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1940 წლის 494 ათასიდან 1976 წელს 1.798 ათასამდე გაიზარდა, მუშების რიცხვი კი 1921 წლის 50 ათასიდან 1976 წელს 1.237 ათასამდე გადიდდა.

იზრდება ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა. 1921 წელს (პროცენტობით წლის დამდეგისათვის) იგი შეადგენდა 20 პროცენტს, 1940 წელს — 31 პროცენტს, 1970 წელს — 48 პროცენტს, 1977 წელს კი 51 პროცენტს, 1977 წლის დამდეგისათვის რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 2.541 ათასი და სოფლისამ — 2.458 ათასი.

ალმშენებლობის მასშტაბი

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გაატარებელი განხორციელების საფუძველზე, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა, უწინდარეს ყოვლისა კი დიდი რუსი ხალხის შემწეობით საბჭოთა საქართველოს შრომელებმა ხორცი შეასხეს სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ გეგმას, რომელიც ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს მოიცავს, განხორციელეს ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, შექმნეს ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობისა და ხალხთა მეგობრობის ნიმუში.

ძირფესვიანად იცვალა ხახე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში აშენდა 1200-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო. ძირითადი საწარმოო ფონდები 1976 წელს 1960 წელთან შედარებით 2,8-ჯერ გაიზარდა, 1965 წელთან შედარებით მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი 1976 წელს ერთიანობაც და მეტად გადიდდა. რესპუბლიკის ეროვნულმა შემოსავალმა 1976 წელს შეადგინა 5.784,4 მილიონი მანეთი, — 202 პროცენტი 1965 წლთან შედარებით. ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებითი (ფაქტიური თსაბებთ, მანეთობით) უკანასკნელი სამი ხუთწლედის მანძილზე ერთიანად და მეტად გაიზარდა.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული პარტიის პოლიტიკური კურსი უზრუნველყოფს სსრ კავშირის ეკონომიკური ძალიერების განმტკიცებასა და განვითარებას. იგი კონკრეტულად გამოიხატა მეათე ხუთწლედის, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის გეგმით.

რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარეზე უდიდესი გავლენა მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამმა დადგენილებამ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ამ ბოლო ხუთ წელიწადში მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიულმა მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით. იმის შედეგად, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო თანამიმდევრულად ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებიდან გამომდინარე ლენისეულ მთელ კომპლექსს, მკვეთრი გარდატეხაა მიღწეული რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებაში.

თუ იმ მომენტისათვის, როცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიიღო დადგენილება, საქართველოს ბევრი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა ქვეყანაში და მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგებით ფაქტიურად მთელი დავალების შესრულებას ნაშლის საფრთხე ემუქრებოდა, მომდევნო სამ წელიწადში მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა და ხუთწლიანი გეგმაც წარმატებით შესრულდა. თითქმის ერთიანობით გაიზარდა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი და შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიური ტემპი. სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედის დამლევისათვის გადიდდა არა 39 პროცენტით, როგორც დიდებულებით იყო გათვალისწინებული, არამედ 40,1 პროცენტით. ხუთწლიანი დავალების დამატებით გაიყიდა 220 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. დაჩქარებული ტემპით შენდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტები, სკოლები, საცხოვრებელი სახლები.

კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოს ეკონომიკა მეათე ხუთწლედში. 1976 წლის მუშაობის შედეგებისათვის ჩვენს რესპუბლიკას ზედიზედ მეოთხეჯერ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის (შესაბამო ფასებში) ზრდის ტემპმა 1976 წელს 1975 წელთან შედარებით 105,6 პროცენტი.

მრეწველობის სწრაფი ზრდა

სოციალიზმის ეპოქისათვის წარმატებით გამოყენების მეოხებით მიღწეულია ისტორიაში არნახული სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის ზრდის ტემპის მაჩვენებლები 1913-1976 წლების პერიოდში ასეთია: (1913 წელი აღებულია 1-ად)

1913—1	1970—85
1940—10	1975—118
1945—56	1976—125

ამასთან სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1921 წლთან შედარებით 250-ჯერ გაიზარდა. 1977 წელს, გაამჟღავნა რა სოციალისტური რეაგებრება, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტით ფრთამშესმულმა საქართველოს შრომელებმა ვადაზე 6 დღით ადრე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების რვა თვის გეგმა, ამასთან აწარმოეს 131 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა 104,6 პროცენტი.

დღეს საბჭოთა საქართველო აწარმოებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე რუსეთის ყველა ელექტროსადგური აწარმოებდა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე.

1976 წელს წარმოებულია 12,1 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა (პროცენტობით 1965 წელთან შედარებით.) შეადგინა:

1965—100	
1970—132	
1975—174	
1976—181	

საიუბილეო წელს საბჭოთა საქართველოს მრეწველობამ გამოუშვა 6 მილიარდ 768,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმოებულია 142 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია; 1977 წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის სამრეწველო ნაწარმის 489 სახეობას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ჰქონდა.

1976 წელს გამოშვებულია პროდუქცია:

ლითონსაჭრელი ჩარხები	— 4.096 ცალი
სამგზისტრალო ელმავლები	— 120 „—„
სატვირთო ავტომანქანები	— 19.319 „—„
ტყავის ფეხსაცმელი	— 14,2 მილიონი წყვილი
ხორცი (პირველი კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით)	— 78,1 ათასი ტონა
კონსერვი	— 355,3 მილიონი პირობითი ქილა
მინერალური წყალი	— 474 მილიონი 0,5 ლიტრი
ყურძნის ღვინო	— 18,2 მილიონი დეკალიტრი

სოფლის მეურნეობის განვითარება

უანიფიანელოვანესი ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევას ემსახურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაქცევას ეკონომიკის მაღალგანვითარებულ დარგად. დღეგანდელი საქართველო — ეს არის მაღალგანვითარებული ბრაგალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მხარე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში დიდ ფართობებზე გაშენდა ჩაის პლანტაციები, ციტრუსები, ციტრუსის ნარგავები, ხეხილის ბაღები. რესპუბლიკაში წლითიწლით ფართოვდება საირიგაციო სამუშაოები, გაჯერდა სარწყავი არხები, მიმდინარეობს დაჭაობებული ადგილების ამოშრობა.

1976 წელს საქართველოში ირწყვებოდა 400 ათას ჰექტარზე მეტი მიწა, ხოლო დაშრობილი მიწების საერთო ფართობი 150 ათას ჰექტარს აღემატებოდა. 1976 წლის დამლევისათვის რესპუბლიკაში იყო 729 კოლმეურნეობა, 328 საბჭოთა მეურნეობა. ნათესების ფართობი შეადგენდა 745 ათას ჰექტარს, მაშინ როდესაც ეს ციფრი 1921 წელს 542,7 ათასს უდრიდა.

1976 წელს წარმოებულია 1.648,5 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია (1973 წლის შესაბამო ფასებში).

1913 წელთან შედარებით	— 8-ჯერ მეტი
1940 წელთან შედარებით	— 3,2-ჯერ მეტი
პროცენტობით 1960 წელთან შედარებით	— 175
პროცენტობით 1970 წელთან შედარებით	— 113

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 1976 წელს.

ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	— 356,2 ათასი ტონა
1921 წელთან შედარებით	648-ჯერ მეტი
ყურძენი	— 448,3 ათასი ტონა
1940 წელთან შედარებით	2,3-ჯერ მეტი
ციტრუსი	— 127 ათასი ტონა
1940 წელთან შედარებით	4,3-ჯერ მეტი.
მარცვლეული კულტურები	— 763,6 ათასი ტონა
1946-1950 წლებში საშუალოდ	— 712,9
მოსავლიანობა — ცენტნერი ჰექტარზე 1940 წელს	10,2
1976	— 20,9
ხორცი — (ნაკლები წონა)	— 139,7
პროცენტობით 1940 წელთან შედარებით	— 186,3
რძე (ათასი ტონა)	— 579,0
პროცენტობით 1940 წელთან შედარებით	— 161,8
კვერცხი (მილიონი ცალი)	— 567,3
1940 წელთან შედარებით	— 2,3-ჯერ მეტი
მატყლი (ათასი ტონა)	— 5,2
პროცენტობით 1940 წელთან შედარებით	— 148,6

შარშან რესპუბლიკის მეჩაიეებმა მოიწიეს „მწვანე ოქროს“ რეკორდული მოსავალი — 356,2 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რითაც მათ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვა დაიმსახურეს. 1977 წელს ისინი აბრძვიან 400 ათასი ტონა ჩაის მიღებისათვის. 56 წლის წინათ საქართველოში პირველი საბჭოთა ჩაის მოსავალი სულ 550 ტონას შეადგენდა. 1921 წელს საქართველოში ვენახებს ეკავა 36 ათასი ჰექტარი. ახლა კი მათი ფართობი 134 ათას ჰექტარს აღემატება.

ეს წარმატებანი, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგად არის მიღწეული, რომ პროგრესულად იზრდება კაპიტალური დაბანდება სოფლის მეურნეობაში.

გამოყენებით ფართოვდება ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი, იზრდება სასუქების გამოყენება. 1976 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 3.129 ტრაქტორი, რომელთა კრებსითი სიმძლავრე შეადგენდა 177 ათას ცხენის ძალას, 210 მარცვალსასალები და 464 სილოსსასალები და 270 სიმინდასალები კომბაინი, 2.993 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი. თუ 1965 წელს საქართველოს მინდვრებში 14.614 ტრაქტორი და კომბაინი მუშაობდა, 1976 წელს მათმა რიცხვმა უკვე 24.423-ს მიაღწია.

იზრდება სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდება. მაგალითად, 1976 წელს ამ მიწოდებამ შეადგინა 805 ათასი ტონა 1960 წლის 250 ათასი ტონის ნაცვლად.

მეცხრე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული შრომის დაახლოების, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების გაქრობის გზაზე.

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებას, პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის განვითარებასა და კონცენტრაციას სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე.

1921-1976 წლების მანძილზე სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების მოცულობა (შესადარ ფასებში) შეადგენს 21 მილიარდ 527 მილიონ მანეთს. მარტო 1941-1976 წლებში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის ძალებით ამოქმედდა 18.431 მილიონი მანეთი მოცულობის ძირითადი ფონდები.

კაპიტალური დაბანდების მოცულობა 1976 წელს 1940 წელთან შედარებით 12-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით გადიდდა საწარმოთა რეკონსტრუქციის, გადაყვანილების, ტექნიკური განახლებისა და სამანიო მშენებლობის კაპიტალური დაბანდების ხვედრითი წონა. მარტო მეცხრე ხუთწლედის წლებში 563 ათასი კაცი შესახლდა ახალ ბინებში.

1976 წელს რესპუბლიკაში აშენდა 25,8 ათასი კვადრატული მეტრი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 1 მილიონ 670 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. ამის შედეგად საბინაო პირობები გაიუმჯობესა 141 ათასმა კაცმა.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტვირთბრუნვა სარკინიგზო ტრანსპორტით

1976 წელს (ათასი ტონა)	35.413
1913 წელთან შედარებით	14,7-ჯერ მეტი
1940 წელთან შედარებით	6,8-ჯერ მეტი

მგზავრთა გადაყვანა რკინიგზის ტრანსპორტით 1976 წელს — 27,3

პროცენტებით 1940 წელთან შედარებით	121,3

სახალხო მეურნეობის ავტოტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მილიონი ტონა-კილომეტრი)

1976 წელს	— 4.567
1940 წელთან შედარებით	33,6-ჯერ მეტი

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანილია მგზავრები (მილიონი კაცი)

1976 წელს	553,5
1940 წელთან შედარებით	— 32,6-ჯერ მეტი

საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მილიონი ტონა-კილომეტრი)

1976 წელს	14,5
1940 წელთან შედარებით	24,2-ჯერ მეტი

საჰაერო ტრანსპორტის მგზავრბრუნვა (მილიონი მგზავრ-კილომეტრი)

1976 წელს	2.430,5
1940 წელთან შედარებით	304-ჯერ მეტი

ფოსტა-ტელეგრაფის, სატელეფონო საწარმოთა რაოდენობა

1976 წლის დამლევს	— 1660
1913 წელთან შედარებით	16-ჯერ მეტი
1940 წელთან შედარებით	2,5-ჯერ მეტი

ადამიანის კეთილდღეობისათვის

კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა და თანამიმდევრულად ახორციელებს მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ სტრატეგიას გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. ამ მიზნებიდან უმაღლესია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. მთავარი, რაც სოციალიზმის დროს განსაზღვრავს ხალხის კეთილდღეობის დონეს, — ეს არის ეროვნული შემოსავლის ზრდა. რესპუბლიკაში ეროვნული შემოსავალი 1976 წელს 1965 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მარტო მეცხრე ხუთწლედში გადიდდა 14 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი 40 პროცენტით. დახმარებებსა და შეღავათებმა, რომელსაც მოსახლეობა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან იღებს, მიაღწია 1.482,2 მილიონ მანეთს, რაც 3-ჯერ მეტია ვიდრე 1960 წელს. 1970 წელთან შედარებით ორალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1976 წელს გაიზარდა თითქმის 1,3-ჯერ, ხოლო 1965 წელთან შედარებით — 1,7-ჯერ. თანამედროვე პირობებში უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა შემოსავალი ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებში.

საბჭოთა ადამიანები სულ უფრო სრულად იკმაყოფილებენ მოთხოვნებს, უფრო უკეთ ცხოვრობენ, უკეთ იცვამენ და იკეთებიან. ამას მოწმობს. კერძოდ, საცალო საქონელბრუნვა, რომელიც რესპუბლიკაში 1970 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის ერთნახევარჯერ, ხოლო 1960 წელთან შედარებით — თითქმის 2,7-ჯერ.

ამასთანავე, მოსახლეობისათვის სასურსათო საქონლის მიყიდვის გადიდებასთან ერთად იზრდება არასასურსათო საქონლის გაყიდვა, მატულობს აუცილებელ კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონლის, ხანგრძლივსახმარი საგნების შეძენის ხარჯები. უკანასკნელ წლებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის ზრდა. მაგალითად, 1976 წელს იგი 1960 წელთან შედარებით გაიზარდა 6,8-ჯერ, ხოლო 1970 წელთან შედარებით შეადგინა 179,5 პროცენტი.

უდიდესი განვითარება პოვა სახალხო ჯანმრთელობის დაცვამ. საიუბილეოთო საწოლების რიცხვი 10.000 კაცზე გაანგარიშებით 1976 წელს შეადგინა 99,3, ანუ 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 2,8-ჯერ, ხოლო ყველა სპეციალობის ექიმების რაოდენობამ შეადგინა 42,3 და გადიდდა 1940 წელთან შედარებით 3,2-ჯერ.

საქართველო განთქმულია თავისი ჯანმრთელობის კერებით. დღეს აქ მოქმედებს 270-მდე კეთილმოწყობილი მთისა და ზღვისპირა, ბალნეოლოგიური, კლიმატური კურორტი, 1400-ზე მეტი მინერალური წყარო.

დიდი განვითარება პოვა ფიზკულტურამ და სპორტმა. რესპუბლიკაში არის 121 სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, 74 სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. საქართველომ საბჭოთა სპორტს შემატა 19 ოლიმპიური ჩემპიონი, 77 მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, 300-მდე სსრ კავშირის ჩემპიონი.

კულტურის ამაღლება და მეცნიერების განვითარება

უკვე 1941 წელს საქართველო სრული წიგნიერების რესპუბლიკა გახდა. აქამდე რესპუბლიკის 4.214 სკოლაში სწავლობს 1002,4 ათასი ბავშვი (1914 წელთან შედარებით 6,4-ჯერ მეტი), 1940 წელთან შედარებით — 1,3-ჯერ მეტი, 95 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში — 50,9 ათასი (1914 წელთან შედარებით 102-ჯერ მეტი, 1940 წელთან შედარებით — 1,9-ჯერ მეტი), 19 უმაღლეს სასწავლებელში — 84,2 ათასი სტუდენტი (1914 წელთან შედარებით 200-ჯერ მეტი, 1940 წელთან შედარებით — 2,9-ჯერ მეტი), სამეცნიერო დაწესებულებებში შრომობს 24 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი. მარტო რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების 56 წლის მანძილზე მოამზადეს 500 ათასი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი. საქართველოში არის 1253 მეცნიერებათა დოქტორი და 8.047 კანდიდატი, მათ შორის ბევრია ქალი. საქართველოში ქალი მამაკაცის თანასწორად აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეცნიერების პროგრესში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრი, სადაც წარმოებს კვლევა თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით.

კულტურის პროგრესის ერთ-ერთი დიდი მიღწევაა წიგნის გამოცემის საქმისა და პრესის განუხრელი განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სამი საუკუნის მანძილზე გამოიცა სულ ექვსი ათასი წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი მილიონ ეგზემპლარს შეადგენდა. დღეს რესპუბლიკის 11 გამომცემლობა ყოველწლიურად უშვებს 2.300-ზე მეტი დასახელების წიგნებს, რომელთა ტირაჟი 16 მილიონს სჭარბობს, ყოველ 100 სულ მოსახლეზე მოდის 350 წიგნი და 40 პერიოდული გამოცემა. ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების რიცხვი შეადგენს 80-ს, წლიური საერთო ტირაჟი კი 30 მილიონს სჭარბობს. გაზეთების რაოდენობა შეადგენს 142-ს, წლიური ტირაჟი — 689 მილიონს. საქართველოში წიგნები, გაზეთები, ჟურნალები გამოდის ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე, აგრეთვე ზოგიერთ უცხო ენაზე.

რესპუბლიკის მოსახლეობას ემსახურება 4.000 ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნის ფონდი 26 მილიონს სჭარბობს, მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს 2.317 კლუბი და კულტურის სახლი, 85 მუზეუმი, 23 პროფესიული თეატრი, 2.000-მდე კინოდანადგარი.

განუხრელად უმჯობესდება პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მშრომელთა მასებში, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც მიზნად ისახავენ ეკონომიკის, კულტურის, მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, ხელს უწყობენ პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების განვითარებასა და დამკვიდრებას, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტიურობის გაძლიერებას.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მოქალაქე, ისწრაფვიან ღირსეულად შეასახან ხორცი სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ აღმშენებლობის პროგრამას, პირნათლად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს, აღნიშნონ სსრ კავშირის ძირითადი კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და კონსტიტუციის მიღება ახალი შრომითი მიღწევებით სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის გასამარჯვებლად, მშვიდობის დასამკვიდრებლად.

• • •

ეს მასალა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის რეკომენდაციისამებრ, გამოყენებულ უნდა იქნეს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის პირველ მეცადინეობაზე.

ასე ვიფარდეთ



რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის ზრდის ტემპი 1913-1976 წლებში.



რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ჩაი, ყურძენი, ციტრუსი) წარმოების გადიდება წლების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ამ მიზანმიმართული და თანამიმდევრული ღონისძიებების მეოხებით, რომლებიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა თბილისს საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რესპუბლიკაში საგრძნობლად განმტკიცდა დისციპლინა და ორგანიზებულობა ცხოვრების ყველა სფეროში.

ამასთანავე ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში, სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში სახელმწიფო დისციპლინის დგომარეობა ჯერ კიდევ არ შეეფერება დღევანდელობის მოთხოვნებს. იმას, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს დისციპლინა სახალხო მეურნეობაში, პრაქტიკულად განხორციელდეს რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით“, ხელს შეუწყობს ამ საკითხებზე სტატისტიკური ანგარიშგების შემუშავება და სრულყოფა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული სტატისტიკური ანგარიშგება სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშგება მოიცავს მრეწველობისა და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებს, საშენებლო ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებს, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს. იგი ამა წლის მე-3 კვარტალდან არის შემოღებული და ითვალისწინებს მრავალმხრივ მონაცემებს შრომის, საგეგმო, საფინანსო, სახელშეკრულებო და სასწავლო დისციპლინის მდგომარეობის შესახებ.

დადგენილებით სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელებს ევალებათ უზრუნველყონ ამ ანგარიშგებით გათვალისწინებული მაჩვენებლების ზუსტი აღრიცხვა და დროულად წარუდგინონ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს დისციპლინის მდგომარეობის ამსახველი უტყუარი მონაცემები.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინადადება მიეცა უზრუნველყოს აღნიშნული სტატისტიკური მასალების შეგროვება, მაღალხარისხოვანი დამუშავება და დროული წარდგენა ხელმძღვანელი ორგანოებისათვის. (ხაინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1972 წლის 20 სექტემბერს არჩეულ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამდე.

მეფრინავეს „კოსმოს-954“

1977 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-954“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატური ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აშუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (ხაკინფორმი).

თბილისში სტუმრად იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოციალისტური ახალგაზრდობის ხელმძღვანელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური ახალგაზრდობის ფედერალური გგმგეობის „შვარდნების“ წევრი, მისი ინტერნაციონალური კომისიის თავმჯდომარე ვოლფგანგ იულენბერგი. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის მოწვევით. საბჭოთა კავშირში დელეგაციის სტუმრობის მიზანია ქვეყნის ახალგაზრდულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობის გაცნობა.

18 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოციალისტური ახალგაზრდობის დელეგაცია მივლა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. შუბლაძემ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის კომკავშირულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა საქმიანობა, მათი შრომითი საქმეები,

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

წინადადებები

კვლავ ისტორიული ძეგლების დაცვაზე

ყველა ერს, დიდა თუ პატარა, თავისი წარსული, თავისი ისტორია აქვს. ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები, რომელთა კულტურული ღირებულებით ამა თუ ამ ხალხს თავისი წვლილი შეაქვს კაცობრიობის ისტორიაში, ახალი თაობების აღზრდა-განათლებაში. კონსტიტუციის პროექტის 67-ე მუხლის მეორე აბზაცში ნათქვამია: „...ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურული ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა მოვალეობაა". მაგრამ, როგორც ვხედავთ, აქ ნათქვამი არ არის, თუ რაოდენ აუცილებელია მკაცრი ღონისძიებები იმ პირთა მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ძეგლთა შენარჩუნება-დაცვის ხაქმეს. ზოგჯერ ხელყოფენ, აზიანებენ მათ. მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნულ მუხლს დაემატოს: „ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი უპასუხისმგებლობით ზიანს მიაყენებენ ისტორიულ ძეგლებსა და სხვა კულტურულ ღირებულებებს, ისჯებიან კანონით".

თ. გუჯარაიძე,
პენსიონერი, ყაზბეგი.

სასალხო რაზმეულების როლის ამაღლებისათვის

კონსტიტუციის პროექტის არც ერთ მუხლში არ არის გათვალისწინებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების საკითხი, მაშინ როცა სახალხო რაზმეულების როლი და საჭიროება ამ ბოლო დროს კიდევ უფრო ამაღლდა. ამტომ საჭიროდ მიმაჩნია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას დაემატოს მუხლი სახალხო რაზმეულების შემდგომი პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მისი როლის გაძლიერების შესახებ, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს სახალხო რაზმეულთა ავტორიტეტს.

ვ. ალექსეევი,
მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის უფროსის მოადგილე.

ჩემი აზრით

თუმცა ჩემი შეხედულებანი კონსტიტუციის პროექტში არსებითი ცვლილებების შეტანას არ ითვალისწინებენ და უფრო სტილისტური ხასიათისაა, მაინც მინდა გაგიზიაროთ.

48-ე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ „სსრ კავშირის მოქალაქენი ირჩევენ და შეიძლება არჩეულ იქნენ სახალხო დეპუტატების საბჭოებში, მონაწილეობენ საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და გადაწყვეტილებების პროექტების განხილვასა და შემუშავებაში"...

ვფიქრობთ, აზრობრივად უფრო სწორი და ლოგიკური იქნება, თუ უკანასკნელ ორ სიტყვას—„განხილვასა და შემუშავებას" ადგილს შეკუეცლით. რამდენადაც, ჯერ ამა თუ იმ დოკუმენტის შემუშავება ხდება და შემდეგ განხილვა, და არა პირიქით.

ზ. კვახაძე,
რუსთავის მე-3 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

კარგი იქნებოდა...

45-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ „სოლოსნი დედაენაზე სწავლების შესაძლებლობა". ამ მუხლში ასევე საუბარია „სკოლა" უნდა შეიცვალოს „სასწავლებლით", რადგან სკოლა სასწავლებელთან შედარებით ერთობ ვიწრო ცნებაა. დედაენაზე სწავლას აზრი არ ექნება, თუ მას მუშაობის პროცესში არ გამოვიყენებთ, ამიტომ ეს წინადადება, ჩემი აზრით, ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „მოქალაქეებს უფლება აქვთ სასწავლებლებში ისწავლონ დედაენაზე და რესპუბლიკის ფარგლებში მუშაობა შეობლოლო ენაზე აწარმოონ" (რაც სინამდვილეშიც გვაქვს).

პროექტის VIII თავში, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის გერბზე, ალმაზე, ჰიმნსა და დედაქალაქზე, ჩემი აზრით, 171-ე მუხლს უნდა დაემატოს „სახელმწიფო ენა" (დიპლომატიური ურთიერთობის საშუალება) და ასე იკითხებოდეს: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქია მოსკოვი. სახელმწიფო ენა — რუსული".

ზ. ძამაშვილი,
ინჟინერი.

ჩვენ და გარეშე

ა რ ა გ ვ ს — ყ უ რ ა დ ღ ლ ე ბ ა!

საქართველო მდიდარია ბუნებრივი წყლის რესურსებით, რაც სათანადო მოვლა-პატრონობას მოითხოვს. დიდმა ოქმრებმა ბუნებრივ სხვა სიმდიდრესთან ერთად წყალიც სახალხო კუთვნილებად გამოაცხადა და ხალხს სამსახურში ჩააყენა. ეს ნათლად ჩანს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში. მე-18 მუხლში ვკითხულობთ: „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სიწმინდის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით".

წყლის სიმდიდრესა და მის დაცვაზე ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის განვითარება და შრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

წყალსატევების დაცვა განბინძურებისაგან ყველა მოქალაქის საპატიო მოვალეობაა. ვინც არ იცავს წყალს განბინძურებისაგან და არ ეყენებს მას რაციონალურად, იგი ბუნებისა და ხალხის მტერია. გაუუქყანებული წყლის მსგავლენი ხდებიან ადამიანები, წყლის ბინადარნი. წყლის საშუალებით შეიძლება გავრცელდეს ყოველგვარი ინფექციური დაავადებანი.

წყალი ზოგჯერ საკმაოდ გვაქვს, მაგრამ მოუფელობითა და უდიერი მოპყრობით იმდენად ბინძურდება, რომ სიკეთის ნაცვლად ზიანი მოაქვს.

ზოგიერთის აზრით სასმელი წყლის დაცვა მხოლოდ წყალსადენის ქსელის დაცვით შემოიფარგლება. ისინი არ ფიქრობენ, რომ წყალსადენებს მრავალრიცხოვანი ნაკადულები, ხევებისა და მდინარეების წყალი ეკვებავს. სწორედ ხევების, მდინარეებისა და სხვა წყალსაცავების განბინძურებისაგან დაცვით უნდა დავიწყოთ სასმელი წყლის სისუფთავეზე ზრუნვა.

ბუნებისა და მისი რესურსების დაცვაზე ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი, იხარჯება დიდძალი თანხა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს ზემოგვმი ორგანოების დადგენილება „მდინარე არაგვის ხეობის ნატახტარ-ბულაჩაურის ობანში წყალმომარაგების ბუნებრივი პირობების შენარჩუნების გადაუდებელ ღონისძიებათა და ინერტული საშენი მასალების დამზადების ადგილების შერჩევის შესახებ". სასტიკად არის აკრძალული ინერტული მასალების მოპოვება მდინარე არაგვის ქალაპოტში ნატახტარ-ბულაჩაურის მონაკვეთზე, რათა შეინარჩუნოთ არაგვის ფილტრაციისათვის დამცველი ქვიშის საფარი.

გაბინძურებისაგან არაგვის დაცვის მიზნით აშენდა ყინვალის დასახლების საყოფაცხოვრები ნაგმარი წყლების გამყვანი კოლექტორი, რომელსაც უნდა შეუერთდეს მდინარე არაგვის ორივე ნაპირზე განლაგებული წარმოებადაწესებულებებისა და დასახლებული ობიექტების კანალიზაციის კოლექტორები.

მცხეთის რაიაღმასკომის ინიციატივით უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია თბილწყალსადენის ნატახტარის დასახლების ზონაში აშენდეს საკანალიზაციო საჭაბი სადგური, რომელიც საწნეო მილით შეუერთდება ყინვალის საკანალიზაციო გამყვან კოლექტორს. როგორც აღვნიშნეთ, ბევრი რამ კეთდება, რათა მდინარე არაგვი დავიცვათ გაბინძურებისაგან. მიუხედავად არა ერთი ღონისძიებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებსა და ზემდგომი ორგანოების მითითებათა უგულებელყოფას. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითება დღემდე არ არის შესრულებული. მცხეთის საკონსერვო ქარხანა ნახმარ წყლებს გაუშვებდა ადგილ ღია გამყვანი არხით პირდაპირ უშვებს ნახმარ არაგვის ნაპირზე, აქ წყალი გუბეებად დგას, იხარწნება და საშიშროებას უქმიან არაგვის ფილტრატებს, რომელშიც გაეონვით შეიძლება მოხვდეს. ქარხნის ხელმძღვანელობა მხოლოდ სიტყვიერ დაპირებებს იძლევა და დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ მათი ქარხნიდან არაგვში ჩამავალ გზარწნილ წყალს ითასობით ბაქტერიები მიჰყვება. ამ წყალს კი შემდეგ ხალხი სვამს და მათი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.

ასევე ვერ მოხერხდა საქართველოს სსრ გზათა მშენებლობის საინსტროს ასფალტბეტონის ქარხნის გატანა ამ ტერიტორიიდან.

ნატახტარ-ბულაჩაურის მონაკვეთზე მდინარე არაგვის კალაპოტში ძველად მოძრაობენ ინერტული მასალების დატვირთული მანქანები, ნელი ტემპით მიმდინარეობს დუშეთის საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობა.

რას ფიქრობენ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, როდემდის უნდა გაგრძელდეს დასახულ ღონისძიებათა შეუსრულებლობა?

თ. ბურჯანაძე,
პროექტების განხილვისა და გარემოსდაცვის დაცვის განყოფილების უფროსი.

ბ. მირცხულავა,
უურნალ „საქართველოს ბუნების" მთავარი რედაქტორის მოადგილე.

კრიტიკით განაწყენებული პოპოვრობს

ანუ როგორ ჩაიშალა მივლინება კომუნისტის თხოვნით

სარედაქციო მუშაობის ჩვეულებრივი დღეა... განუწყვეტლივ მოდიან მკითხველები, კორესპონდენტები, მოოქთა კოლექტივების წარმომადგენლები, ფერილებითა და განცხადებებით გვთავაზობენ თავიანთ წინადადებებს, გვეტყობინებენ საკუთარ ნაფიქრალსა და გულისხმიერებს.

ეი „კომუნისტის" პარტიული ცხოვრების განყოფილებაშიც ერთ დღეს მაღალი, რომ იტყვიან, მთასავით კაცი შემოვიდა.

„მე პარტიის წევრი ვარ, გვარად ვალიევი, ცხინვალიდან გეხტუბრეთ, — ასეთი მოკლე გაცნობით დაიწყო მან საუბარი. — ქალაქის პურკომბინატში, სადაც ცვლის უფროსად ვმუშაობ, ვერ იქნა და ვერ დამყარდა წესრიგი. ჩვენი ოცდაოთხეულიანი პარტიული ორგანიზაცია განდ ყოფილა, განდ არა. შარშან, ოქტომბერში პარტბიუროს მდივნად კომბინატის მთავარი მექანიკოსი გიორგი მამიევი ავირჩიეთ. მას შემდეგ თითქმის ნახევარი წელი გავიდა და ერთი პარტიული კრებაც არ გამართულა, არ მუშაობს არავითარი პოლიტწრე ან ხემინარი, არ გამოდის კედლის გაზეთი, ამ ხნის მანძილზე კოშუნიტებს პარტიული ხაწევროც კი არ შეუტანიათ. თანამშრომლებმა არც კი იციან, ხაერთოდ, ჩვენთან არსებობს თუ არა პროფკავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია ან ხახალხო კონტროლის ჯგუფი... ჩვენი პარტბიუროს მდივანი პარტიის საკალაქო კომიტეტშიც გამოძახეს და გაიფრთხილეს, რომ პასუხისგებლობით მოპკიდებოდა თავის მოვალეობას, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე... გთხოვთ, „კომუნისტის" რედაქცია ჩაერიოს საქმეში...

მეტად დამაფიქრებელი სიგნალია. გაგეგზავნა, რომ შარშან „კომუნისტის" 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ცხინვალის პურკომბინატის მუშაობის თაობაზე კრიტიკული წერილი სათაურით „მოწურ-მოწურა საქმეს რომ შეელოდეს..". და აი, სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა შეემოწმებინა, როგორც კომუნისტ გ. ვალიევის სიგნალი, ისე შარშანდელი წერილის გამო დასახულ ღონისძიებათა შესრულება.

სწორედ ამ სპეციალური დავალებით „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი გ. თედეევი ცხინვალის პურკომბინატში მივიდა. როგორც კი გამოვლინდა ვამომცხვარი პურის წონაში მნიშვნელოვანი დანაკლისი, დირექტორი ა. სიუკაევი აღშფოთდა და სტანდარტების სახელმწიფო ინსპექციის ცხინვალის ლაბორატორიის გამგეს ი. ჯიოევს აქტის დაწერის საშუალება არ მისცა. შემდეგ ტელეფონით სასწრაფოდ დაუკავშირდა ტრესტ „საქპურკონდიტერის" ხელმძღვანელობას, არიქა, კორესპონდენტი ტენდენციურად მამოწმებსო. ტრესტიდან მეორე დღესვე ჩამოვიდა წარმომადგენელი, რომელიც გულწრფელად გაიკვირვა დირექტორის შეშფოთება და უთხრა, მე აქ ვერავითარ ტენდენციურობას ვერ ვხედავო. ა. სიუკაევი კი აფრიალებდა გაზეთის შარშანდელ ნომერს, სადაც პურკომბინატის უხარისხო პროდუქციის თაობაზე წერია, და გაიძახოდა: კორესპონდენტმა პირადად მე გამაკრიტიკა, რომ წერს კომბინატში ტექნოლოგები არ ჰყავთ, მხოლოდ გეოლოგები, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის მასწავლებლები მუშაობენო. სპეციალობით გეოლოგი ხომ მე ვარ, ამიტომ იგი ჩემს მიმართ ახლაც ტენდენციური იქნებაო...

იმ დღეებში ცხინვალის პურკომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხით სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტიც დაინტერესდა. ამიტომ „კომუნისტის" კორესპონდენტმა გადაწყვიტა პირველ რიგში პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გასცნობოდა, რადგან მიიჩნია, რომ ისეთი იერარქიული ორგანოს, როგორიც სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტია, უფრო დაწერილებით ჩასწვდებოდა მდგომარეობას.

15 ივლისს, როცა კორესპონდენტი კომბინატში პარტიული დოკუმენტების გასაცნობად მივიდა, დირექტორი ა. სიუკაევი ბრაზისაგან ავითო, აღშფოთდა და პარტბიუროს მდივანს უბრძანა, ერთი ფარატინა ქაღალდიც კი არ აჩვენოთო. მეტი წარბი შეკრა და თვალით ანიშნა" დაუყოვნებლივ გაცლოდა ოქაურობას. მორჩილი მდივანიც უსიტყვოდ გავიდა მეორე ოთახში.

ვერასგზით ვერ დაეშშინეს სიუკაევი იმ დროს იქ ყოფილი ცხინვალის პურპროდუქტების ბაზის დირექტორმა მ. ცხოვრებოვმა, პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორმა ა. გაბარაევმა და სხვებმა. იგი იმუქრებოდა, მე ვაჩვენებ სეირს, ვინც ჩემზე და „ჩემს კომბინატზე" ცუდს დაწერსო...

ერთი სიტყვით, კომუნისტის თხოვნით მოწყობილი მივლინება ჩაიშალა. საჭირო გახდა რედაქციიდან მეორე მივლინება, ახლა უკვე კორესპონდენტის თხოვნით. ამ ფაქტს დღეს ასე განმარტავენ.

პურკომბინატის დირექტორი ა. სიუკაევი: მე საფუძველი მაქვს არ ვენდო გ. თედეევს, როგორც კორესპონდენტს (ისევ შარშანდელ გაზეთს აფრიალებს ხელში). მაგან საქვეყნოდ მომჭრა თავი. რაც შეეხება პარტიული საბუთების ჩვენებას, რად უნდოდა? სწორედ იმ დღეებში პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორმა ნახა. თუ ეს აუცილებელი იყო, პარტიის საქალაქო კომიტეტიდან აეღო შემოწმებული მასალები(?).

პარტბიუროს მდივანი ბ. მამიევი: დიახ, კორესპონდენტს სწორედ იმიტომ არ ვაჩვენეთ პარტიული ორგანიზაციის საქმეები, რომ იმხანად სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტი და პარტიის საქალაქო კომიტეტი გვამოწმებდნენ. ოთახიდან კი დირექტორის ბრძანებით როდი გავედი, სამსახურებრივი საქმე მქონდა... საერთოდ, რა საჭიროა ამდენი შემოწმება, ან თქვენ რატომღა ჩამოხვედით?... რა საბუთები უნდა ნახოთ? არა მაქვს და ეგ არი. მე ჩემი დრო უშუალო სამსახურს უნდა მოვახმარო, პარტბიუროს მდივნობა საზოგადებრივი დავალებაა... მერე რა, რომ კრებები ვერ ჩავატარეთ, როდის იყო საქმე კრებით კეთდებოდა(!)...

პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სხვა კომუნისტებსაც შეეხვდით. მაგრამ პურკომბინატის ამ ორ ხელმძღვანელთან საუბარიც ნათლად დაგარწმუნებთ, თუ რა შეუვნებლად იქცევიან. მდგომარეობა კი კომბინატში არათუ დამაფიქრებელი, პირდაპირ საგანგაშოა. გამუდმებული კინკლაობა, ერთმანეთისადმი უპატივცემულობა, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლობა, უკონტროლოობა და თვითნებობა — ეი საამუხარო სურათი.

ყოველივე ამან კი სამეურნეო შედეგებში იჩინა თავი. მოსახლეობა უკმაყოფილოა კომბინატის პროდუქციით. შარშან ოფიციალურად წუნი დაედო 1.168 ტონა პურს, რამაც საწარმოს დიდი ზარალი მიაყენა. უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები ბევრია წლეულსაც. ამასთან ხშირია შემთხვევა, როცა მომხმარებელი წონანაკლულ პურს იღებს, ზოგჯერ კი შიგ სხვადასხვა უცხო საგნებია. სუსტად იბრძვიან ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, ყურადღება არ ექცევა მუშაკების მორალურ და მატერიალურ წახალისებას. წლეულს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი 8,9 ათასი მანეთიდან კაპიკიც არ არის ათვისებული, მოშლილია შრომისა და საწარმოო დისციპლინა. მიმდინარე წელს არაერთმა დაარღვია შრომის დისციპლინა, ხოლო რამდენიმე სამედიცინო გამოსაფხიზლებელშიც კი მოხვდა.

როგორც კომუნისტი იტყობინებოდა, მართლაც აღმოჩნდა, რომ პარტიული ორგანიზაცია ერავითარ გავლენას ვერ ახდენს კოლექტივის შრომაზე. კომუნისტებისათვის დაავლებენ მიცემა აზრადაც არ მოსვლიათ. ჩაშლილია პოლიტსწავლება. ვერც პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე ამ ფაქტის აღნიშვნამ და ვერც პროპაგანდის განყოფილების ღონისძიებამ საქმეს ვერ უშველა.

თვითმნებებულია საგაზეთაო მუშაობა, კომუნისტთა გამოუცხადებლობით ორჯერ ჩაეშალათ პარტიული კრება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი იყო მიძღვნილი. ჩვენ ვნახეთ ნახევრგვერდიანი ოქმი, ვითომ შარშან ნოემბერში გამართული პარტიული კრებისა, რომელზეც, თითქოს, განხილიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მასალები და მოუსმენიათ ინფორმაცია სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, მაგრამ დადგენილებაც კი არ მიუღიათ. მეორე კრება წლეულს მაისში მოუწვეიათ. იმსჯელეს საწარმოო და შრომითი დისციპლინის მდგომარეობაზე. როგორც ოქმში გკითხულობთ, ზოგს თავი დაანებე ფემინსტრატიულად მიუტოვებია კრება იმის გამო, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტიდან, როგორც მათ ჰპირდებოდნენ, არავინ მოსულა.

სწორედ ამ ოქმიდან კომუნისტთა გამოსვლებს რომ ეკითხა, კიდევ უფრო ნათლად რწმუნდები იმ უპასუხისმგებლობასა და თვითნებობაში, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. კრების მონაწილენი — ქელეხსაევი, ხამატოვა, საბაშვილი, ბეკოევი, ჩოჩიევი, მარტინოუკი, ერთი სიტყვით, ყველა მოკამათე ერთხმად ლაპარაკობდა დირექტორ ა. სიუკაევის თვითნებობაზე, ცვლის ოსტატების ლოთობაზე, საქმისადმი ცალკეული მუშაკების გულგრილ დამოკიდებულებაზე. კრებაზე გამოვიდა ბოლოს თვით დირექტორი, რომელმაც საკუთარი პერსონის კრიტიკაზე ვერაფერს ვერ გასცა პასუხი, სამაგიეროდ რისხვა დაატეხა კომუნისტ გ. ვალიევს, სწორედ იმას, რომელმაც „კომუნისტის" რედაქციას სთხოვა მდგომარეობის შესწავლა და რომელიც, როგორც ერთ-ერთი ცვლის უფროსი, ხუხარისხო პურის გამოშვებისათვის 21 ივლისს სამხრეთ ოსეთის სახალხო კონტროლის კომიტეტმა თავის სხდომაზე თანამდებობიდან გადააყენა.

არავინ ფიქრობს, თითქოს ჩვენ დაცვას ვამორებდეთ ისეთი კაცისას, რომელსაც მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ მან თავისი შრომითი კოლექტივის, თავისი პარტიული ორგანიზაციის ნაკლოვანებებზე ხმა აღიმაღლა. რა თქმა უნდა, არა! ყველას თავისი უნდა მიეზღას. მაგრამ რატომ გაიმეტა ესოდენ მკაცრი სასჯელისათვის სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტმა მხოლოდ ვალიევი, რომლის მისამართით ა. სიუკაევი ყველგან გაიძახოდა: მომაშორეთ ვალიევი, მხოლოდ ეგ მიმღვრევს წყალს, ეგ განგებ ყრის პურის ცომშიო მინის ნამსხვრევებსა და ლითონის ნაჭრებსო, რატომ ასევე მკაცრად არ დაისჯნენ სხვა ცვლების უფროსებიც და ის მუშაკებიც, რომელთა ბრალიც არის უხარისხო პროდუქციის გამოშვებაა? რატომ მიანდეს მათი დასჯა მხოლოდ კომბინატის დირექტორს?

როგორც სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. პარასტაევმა თქვა, ერთხანს შემოწმება შეუჩერებიათ, რადგან ამ დღეებში ხარისხიანი პური ცხვებოდა. როცა კომბინატში ეკონომთ, ჩვენი თავი ალარ აინტერესებთო, სწორედ მაშინ განვაახლეთ შემოწმებაო. დიახ, განაახლეს და კონტროლიორებს ისევ კომუნისტ გ. ვალიევის ცვლაში გამომცხვარი პური შერჩათ ხელში.

ცოტა არ იყოს, უცნაურად გვეჩვენება ისიც, რომ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე სიტყვასიტყვით პურკომბინატის დირექტორივით აფასებს გაზეთის კორესპონდენტთან შემხვდარ ინციდენტს და ამბობს — გ. თედეევი გ. ვალიევის ცოლის ახლო ნათესავია და ამიტომ არის დაინტერესებული, სინამდვილეში კი მათ არავითარი ნათესაობა არ აკავშირებთ.

ვერ ვიტყვით, თითქოს პურკომბინატში შექმნილი მდგომარეობა არ იცოდნენ პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტსა და „საქპურკონდიტერის" ტრესტში. როგორც „კომუნისტის", ისე საოლქო გაზეთების კრიტიკას ბევრი კარგი დაპირებებითაც გამოეხმაურნენ ასანი, მაგრამ მათი დანაგა სძიებანი, ეტყობა, ბოლამდე ზოგჯერ ვერ ხვდება. თერთონ კომბინატში ხომ პატიეს არ სცემენ ბევრი ორგანოების მითითებებს. [illegible] ... ბელ [illegible] ... ტმა, [illegible] ... ბის [illegible] ... ნიუ [illegible] ... რამ პირველად პარტიული ორგანიზაციას ფიქრადაც არ მოსვლია ამის თაობაზე ემსჯელა.

შეიძლება ამ წერილისათვის აქ დაგვესვა წერტილი. მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგმა ცხინვალელმა კომუნისტმა, განსაკუთრებით თანამდებობის პირებმა, ჯერაც ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები ამ ინციდენტიდან, რომელიც თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარში" მოხდა, და რასაც პრინციპული და ბრძაცირი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

თვით პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა სერიოზულად გაიფრთხილა და ასასჯა კიდევ სწორედ ქალაქ ცხინვალის ის ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთაც სწორედ დასკვნა ვერ გამოიტანეს „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილიდან „აადრეს [illegible] ... ბა [illegible] ... ნობას — გამართლება" და ზოგიერთმა კორესპონდენტის დასჯაც კი მოითხოვა.

„კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია". — ვკითხულობთ ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტში.

„კრიტიკაზე არასწორი რეაგირებისა ყოველგვარმა ფაქტმა, ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობაზე, უნდა გამოიწვიოს პარტიული ორგანოების მწვავე და ოპერატიული რეაქცია".

და სწორედ ამ დროს, რა უცნაურად გვეჩვენა, პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორის ა. გაბარაევის პოზიცია, რომელსაც ორი დღე ვდიეთ, რომ, როგორც ინციდენტის მომსწრეს, სწორი განმარტება მოეცა.

მე პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის უნებართოდ „კომუნისტის" რედაქციას ვერავითარ განმარტებას ვერ მივცემო, თქვა მან. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთი მდივნის ნებართვით, დაადასტურა, რომ ა. სიუკაევმა კორესპონდენტს უარი უთხრა გასცნობოდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობას.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

იმედია, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, რომელიც სერიოზულად დაინტერესდა ამ ფაქტებით, მას სპეციალური მსჯელობის საგნად გახდის.

ალ. ზურაშვილი.

ვიბრძოლოთ დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკადრესი). ტრადიციისამებრ სექტემბრის მესამე სამშაბათს აქ იხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესია. ახლანდელი — XXXII სესია იკრიბება ვითარებაში, რომელიც ხელს უწყობს მისი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

დადებითმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბოლო წლებში მიიღო ნოსა ბოლოს, ნაბოლოს, ...

საერთაშორისო მონაწილე

ი. ხ. ფრანგულიანის დაბადების 90-ე წლისთავი

გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ი. ხ. ფრანგულიანის დაბადების 90-ე წლისთავს. სხდომა მოიწვიეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რესპუბლიკის მეგობრულისტთა სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებამ, გ. მ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და მეგობრის და ნ. ა. მახვილაძის სახელობის შრომის მეგობრისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა; საქართველოს კომპარტიის ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ.

საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, პროფესორმა ი. ზედგინიძემ.

ი. ხ. ფრანგულიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუძღვნა მოხსენება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. ცაბაძემ.

დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ნ. მახარაძემ, პარტიის ვეტერანმა ე. არუთინოვმა, პროფესორებმა ა. ასათიანმა და ი. შენგელიამ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ციციშვილმა და ი. ცხადაძემ, დოცენტმა მ. გევონდიან-წერეთელმა და სხვებმა.

საღამოზე გამოვიდნენ ი. ხ. ფრანგულიანის შვილი და და.

(საქინფორმი).

90 წელი შესრულდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სამი რევოლუციის მონაწილის ივანე სიმონის-ძე ფრანგულიანის დაბადებიდან. იგი დაბადა 1887 წლის 3 სექტემბერს ქ. თბილისში. 15 წლიდან ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს გაეცნო რევოლუციურ ლიტერატურას და 1904 წლიდან მონაწილეობდა მოსწავლეთა არალეგალური წრის მუშაობაში. ამ წრის წევრები სწავლობდნენ მარქსიზმის მოძღვრებას, ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას და მართავდნენ კრებებს. 1905 წლის ბოლოს









ბულგარეთის შავი ზღვის საკურორტო ხანაპიროს ცენტრში — ქალაქ ბურგასში წელს სექტემბერში მოეწყო გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტის სიმონ კილაძის პერსონალური გამოფენა „ქართული მოტივები“.

გამოფენა მოაწყეს ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირმა და საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სახლის ფოტოკლუბმა „საქართველომ“. გამოფენა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი, ნაჩვენები იქნება ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, შემდეგ კი პოლონეთის საერთაშორისო ფოტოსალონ „ოლარსტაში“ და საქვეყნოდ ცნობილი სპეციალურ სალონში ქ. ახსტერდამში.

„ქართული მოტივები“

სულ ამ ოცი ფოტოსურათ-ნანახი, ბევრ ადგილას ნანახი, ბევრ ადგილას ნანახი, ბევრ ადგილას